

შესტაფონის

პრეზენტი

გამოცემის
78-ე წელი

14 აპრილი, 2010 წელი ○ მუნიციპალური გაზეთი ○ №9-11 (7900-7902) ○ ღასი 30 თეთრი

ოცნების ასრულება

მამორჩილური სკოლის დაბადება



მარადისობა სიკვდილის წამიდან დაიწყო მათთვის! — ზუსტად 21 წლის წინ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი თაობის უკვადავყოფის მიზნით გათანამედროვეებულ და მნიშვნელოვნად სახეშეცვლილ სკვერში მემორიალი გაიხსნა. 9 აპრილს დაღუპულთა უკვადავყოფა და საქართველოს მთლიანობისათვის მსხვერპლშენიშნული გმირის გია აბესაძის ხსოვნის პატივგება — ამ ორი ღირსშესანიშნავი მოვლენის სინათლეზე მემორიალში, რომლის გახსნის ცერემონიაზეც ზესტაფონში 9 აპრილის დღეს ზეიმად იქცა.

წვიმიანი და სუსხიანი დღის მიუხედავად მემორიალის გახსნას უამრავი ადამიანი

ესწრებოდა. ეს იყო ნიშანი იმისა, თუ როგორ არის გააზრებული 9 აპრილი ქართულ მენტალიტეტში და რას ნიშნავს სრულიად საქართველოსთვის იმ სისხლიანი ღამის ტრაგედია, რითაც სათავე დაედო ქვეყნის ფაქტობრივ დამოუკიდებლობას...

ნითელი ლენტი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა გენაძემ და იმერეთის მხარის რწმუნებულ-გუბერნატორმა ლაშა მაქაცარიამ გაჭრეს. 9 აპრილი ზესტაფონში, იმერეთში „ყველაზე გრანდიოზულ მოვლენად იქცა“ — აღნიშნა ლაშა მაქაცარიამ და შეკრებილ



საზოგადოებას ეს მნიშვნელოვანი მოვლენა მიულოცა.

მემორიალის გახსნას მისი ავტორებიც მოქანდაკე ლევან გუჯიაშვილი და არქიტექტორი გიგა ადვიშვილიც ესწრებოდნენ.

მათმა პროექტმა სპეციალურად ამ საკითხზე გამართულ კონკურსში გაიმარჯვა. „აქ არის გამოსახული 90 წლების საქართველოში განვითარებული მოვლენები. დაქუცმაცებმა, ძმათა შორის დაპირისპირება, 9 აპრილი და სანთელი, როგორც გია აბესაძის სიმბოლო, რომელმაც ქართველობას გამთლიანებისაკენ მოუწოდა, რისი მსხვერპლიც ის თავად გახდა. რაც შეეხება მონუმენტს, ის ამ სკვერს ძალიან მოუხდა და მასში შთამბეჭდავად ჩაჯდა. მე ვარ ამაყი და ბედნიერი, რომ ყველაფერი ასე კარგადაა და ხალხმა ის მიიღო“ — თქვა მოქანდაკე ლევან გუჯიაშვილმა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით აღნიშნული მემორიალის გახსნა ზესტაფონში მოსახლეობის სურვილი იყო. მათივე თქმით, სკვერში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ დასრულებულა, და იქ გასაკეთებელი ჯერ კიდევ არის, სამშენებლო ორგანიზაცია „იმერეთი 1“, აღდგენით სამუშაოებს ისევ აგრძელებს. თუმცა ძირითადი მნიშვნელოვანი დეტალები დასრულებულია,



მთლიანად მოპირკეთდა სკვერის ტერიტორია, მოენყო გაზონები ბალახისა და ყვავილნარისათვის, დაირგო დეკორატიული ბუჩქები, გარემონტდა მონუმენტის უკანა მხარეს მდებარე დეკორატიული პანო და ამოქმედდა შადრევნებიც, რომლებიც აქაურობას განსაკუთრებულ სილამაზეს სძენს.

წაიონის აზვები

დასრულდა ორდღიანი კონკურსი „მოგზაურობა ზღაპრების სამყაროში“, რომელიც მუნიციპალიტეტის კულტურისა და შემოქმედების ცენტრში მიმდინარეობდა. კონკურსის პირობის თანახმად მონაწილეებმა 25 ქართული ზღაპარი ნაიკითხეს და დაამუშავეს, მოამზადეს შესაბამისი შინაარსის კომპოზიციები და მაყურებელსა და ჟიურის უამრავი მხიარული და შთამბეჭდავი წუთი აჩუქეს.

„მოგზაურობა ზღაპრების სამყაროში საჯარო სკოლების პირველი საფეხურის მოსწავლეთათვის ტარდება. მან წელს თავისი ისტორიის მეორე ფურცელი ჩაკეცა, ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ ის 2-წლიანი ინტერვალით ეწყობა და მონაწილეთა დიდ დაინტერესებასაც იწვევს. ყველა მონაწილეს და გამარჯვებულებს შესაბამისი სივლეები გადასცეს.“

ერთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჭიდაობა ძიულში შოთა მაჭავარიანის სახელობის ასპარეზობა, რომლის მასპინძელიც ზესტაფონის სპორტული სკოლის დარბაზი იყო. მონაწილეთა დიდი რაოდენობა და მასშტაბი — შეჯიბრის 270 მოჭიდავე და 14 რაიონის 18 გუნდი — ასეთი იყო ასპარეზობის წინა ოფიციალური მონაცემები.

აღნიშნულ ასპარეზობაში კლუბ „ფალავანისა“ და სპორტული სკოლის მოსწავლეები ჩაერთვნენ.

საერთო ჯამში მათ 5 პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი მოიპოვეს. 28 კგ წონით კატეგორიაში პირველი გიორგი ვარდოსანიძე იყო, რომელსაც ასევე შოთა მაჭავარიანის სახელობის თასი გადაეცა.

42 კგ წ/კ პირველი ადგილი აიღო ლადო მეცენიძემ, 50 კგ წ/კ კი ვანო გაჩეჩილაძემ.

ასევე პირველობა არავის დაუთმო გუგა ლაზუაშვილმა, რომელიც მძიმე წონოსანთა შორის ასპარეზობდა.

სპორტსკოლის მოჭიდავეთა ანგარიშზეა გიორგი მახათაძისა და გიორგი გოგოლაძის მე-2 და მე-3 ადგილებიც შესაბამისად 55 და 38 კგ წონით კატეგორიაში.

კლუბ „ფალავანისაგან“ თავი ლომიძემ გამოიჩინა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა 60 კგ წონით კატეგორიაში, მძიმეწონოსანთა შორის კი ირაკლი განჩილაძე მესამე იყო.

მე-3 თბილისური ტურის შემდეგ ზესტაფონელი კალათბურთელი გოგონები პირველ ადგილზე არიან. სერიოზულ კონკურენტებთან მოგების შემდეგ მათ პოზიციები უმაღლეს ლიგაში კიდევ უფრო განამტკიცეს. და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდისა და ქუთაისელი კალათბურთელებიც უკან ჩამოიტოვეს.

მე-3 ტურში, რომელიც თბილისში 21,22,23 მარტს მიმდინარეობდა, ზესტაფონელმა გოგონებმა თუ-სა და გორის გუნდების დამარცხება შეძლეს.

ზესტაფონელი გოგონები ახლა შინ, თავიანთ ძირითად სანვრთელ ბაზაზე — სპორტსკოლის დარბაზში ვარჯიშობენ. მორიგი მე-4 ტურის ჩატარება თერჯოლაშია დაგეგმილი, რომელიც 10 აპრილს დაიწყება. ზესტაფონელი კალათბურთელები პირობას დებენ, რომ მაქსიმუმს გააკეთებენ საუკეთესო შედეგის მისაღწევად.

რაიონში მცხოვრებმა უსინათლოებმა სააღდგომოდ ფინანსური დახმარება მიიღეს. დასაჩუქრებულთა შორის 100-მდე სხვადასხვა ჯგუფის უსინათლოა. საერთო ჯამში მათთვის დაახლოებით 3500 ლარი გამოიყო.

რაიონში მცხოვრები აღნიშნული კატეგორიის პირები მუს, უსინათლოთა საზოგადოებაში არიან განეკუთვნებიან. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნელი ყრუაშვილი ამბობს, დახმარება, რომელიც ამ ჯერზე მიიღეს, მათთვის პირველი არ არის, ანალოგიური სახის საჩუქრებს უსინათლოები რამდენიმე წელია სტაბილურად

იღებენ ახალი წლის დღეებსა და სააღდგომოდ, ამას გარდა მათ სპონსორი გამოუჩნდათ, რომელიც უსინათლოთა დასაქმებაზე იზრუნებს.

წლების წინ უსინათლოთა კატეგორია გარკვეულ შედეგებით სარგებლობდა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეხვედრაზე ამ შედეგებიდან ზოგიერთების აღდგენის შესაძლებლობაზე გაკეთდა აქცენტი.

2010 წლის 27 მარტს განვითარებული ძლიერი ქარის შედეგად ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შეიქმნა რიგი პრობლემებისა, კერძოდ, სახურავი გადახდა როგორც მუნიციპალურ, ისე კერძო სექტორის შენობებს. ამასთან დაკავშირებით გამგეობაში შეიქმნა საგანგებო შტაბი, რომელიც დაზიანებების აღრიცხვასა და პრობლემის მოგვარების გზებზე მუშაობს.

მოსახლეობისათვის სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამგეობის ბრძანებით სოციალური პაკეტის შესაბამისი მუხლიდან გამოყოფილი თანხები გადახურვითი სამუშაოების დასაფინანსებლად, თუმცა, როგორც გამგებელი ამბობს, ფინანსური დახმარება გაენევათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა საცხოვრებელი სახლის ან ამა თუ იმ ობიექტის სახურავი განსაკუთრებით დაზიანდა. ასეთი მუნიციპალიტეტში არის 13. მათ შორის საბავშვო ბაღის შენობებიცაა, რომელთა გადახურვის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

შორაპანში, ყოფილი ელემენტების ქარხნის ბაზაზე მექანიკურ სამქროზე ორიენტირებული ახალი სანარმოს ფუნქციონირება იგეგმება, რომლის მთავარი ეპიცენტრი, როგორც მოსახლეობაში ამბობენ, ლუმელი იქნება. წინასწარი ვარაუდით, მინიმუმ 1 წელიწადში მას სრულიად დასრულებული სახე ექნება, მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას სიახლის შესახებ მწირი ინფორმაცია აქვს, რათ მათში შიშსა და გაურკვევლობას ზადებს გარემოს მოსალოდნელი დაბინძურების შესახებ. თავი-

ანთი განწყობილება მათ აქციის მოწყობითაც გამოხატავს.

მოსახლეობის აზრი ქვეყნის სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებშიც იცინა. აქციამდე რამდენიმე დღით ადრე შორაპანელებმა თავიანთი პრობლემა ერთდროულად რამდენიმე უწყებაში გადააგზავნეს, მათ შორის ერთ-ერთმა, გარემოს დაცვის ინსპექციამ, თავისი თანამშრომლები აქციაზე მოავლინა, რომლებიც მოსახლეობას დაპირდნენ, რომ საკითხს სიღრმისეულად შეისწავლიან და შედეგების შესახებაც აცნობებენ.

ყოფილ ელემენტების ქარხანას დაახლოებით 4 ჰა მინა უჭირავს. მისი ფართობი მთლიანად და შენობა-ნაგებობების ნაწილი ბიზნესმენთა ახალი ჯგუფის საკუთრებაა. როგორც გაირკვა სპარტაკ საყვარელიძემ და ლაშა კლდიაშვილმა მხოლოდ ის ობიექტები შეისყიდეს, რომლის გამოყენების პერსპექტივაც აქვთ, დანარჩენს კი მანამდე მიფლელი „მარსი“ განკარგავს. როგორც ახალი მეპატრონეების წარმომადგენლებმა ადგილზე ანტონ კლდიაშვილმა განმარტა, მოსახლეობის შიში უსაფუძვლოა და ყველაფერი გაკეთდება მათ უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების მიზნით.

ანტონ კლდიაშვილის ინფორმაციით, ლუმელის აშენებამდე და შესაბამისად ფუნქციონირებამდე, ჯერ დროა. მანამდე კი ისინი შედარებით მცირე დაკვეთებზე მექანიკურ სამქროს ამუშავენ. მალე ამოქმედდება კირქვის გადამამუშავებელი ნისქილიც, რომელიც საგზაო დანიშნულების ერთ-ერთ ინტენდიენტს „ფილერს“ გამოუშვებს. საამქროს სრულიად ამოქმედების შემთხვევაში აქ დაახლოებით 80 ადგილობრივი კადრი დასაქმდება. თუმცა ამ დაპირების მოსახლეობას ნაკლებად სჯერა. მათ პროექტის პირველ პირებთან შეხვედრა და მათგან კიდევ უფრო სარწმუნო ინფორმაციების მიღება სურთ. უნდათ გაიგონ, რა იგეგმება მომავალში, — ეკონომიკური განვითარება თუ არაჯანსაღი გარემო, რომელიც ამ ეტაპზე მათი პროტესტის განსაკუთრებული მიზეზი ხდება.

მახვიტონა და ზნისნი მთხომონი ზნახანის სახლობო ქანახა. ზნახომის წმ. იონა ნათინსახონი სანომონი სანათეხი ტახი, 4 პახილი, 2010 წელი.
„ალდომე ან ახის ის ნახეი და ის იმეი, ხომეიონი ზნახომის ყოველითი, და ან ახის ჩნეი უნახეი და მახიონეი სანეიონი და მახიონეი და მახიონეი“

ჩნეიონი ან ლეხიონი

ქრისტე აღდგა!
 დღევანდელი დღე არის ყველაზე დიდი, ყველაზე გამორჩეული, ყველაზე მაღალია—ნი, კურთხეული და, მე ვიტყვი, ყველაზე დიდი ნუგეში და დიდი იმედი, ვნა და გადარჩენა ქრისტეს აღდგომის სახით... ეს არის დღე, როდესაც ზეიმობს ცა და ქვეყანა, ზეიმობს დიდი და პატარა, ეს არის დღე, როდესაც მკვდრებით აღდგომილმა უფალმა დათრგუნა სიკვდილი და ეს არის დღე, როდესაც ზეიმობს სიციცხლე სიკვდილზე ჯერ კიდევ პირველი ადამიანი (ადამ და ევას სახით), რომელთა დაცემა მოხდა ცოდვის გამო და მათ ზედა მოიწია სიკვდილი, უფალმა შექმნა სახად და მსგავსად თავისა და, ამავე დროს, უკვდავად, თუმცა ცოდვისა გამო დაეცა და მიანიჭა სიცოცხლე, და ამის შემდეგ უკვე უფალმა თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და ადამიანს—კაცობრიობას უკვდავება დაუბრუნა, უფრო სწორად კი კვლავ აღუდგინა უკვდავება...
 აი, ეს დღე არის დღე... ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება, ყველაზე დიდი სიხარული კაცობრიობისა, და ამაზე დიდი მონაპოვარი არცაა აქვს დღემდე კაცობრიობას, რომ: ადამიანი კვლავ არის უკვდავი, უკვდავების ეს წყარო კაცობრიობას სწორედ უფალმა მიანიჭა—ჯვარცმულმა, დაფლულმა და მკვდრებით აღდგომილმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ. აი, ამას დღესასწაულებს დღეს მთელი კაცობრიობა, და ეს არის ჭეშმარიტად სიციცხლის ზეიმი, ტრიუმფი სიციცხლისა, რადგანაც ადამიანი არ კვდება, არამედ ერთი ცხოვრებიდან ის გადადის მომავალ ცხოვრებაში, რომელიც არის სულის მარადიული ცხოვრება... და სწორედ ეს არის ყველაზე დიდი მონაპოვარი

ვარი, ყველაზე დიდი ნუგეში და იმედი, სხვა შემთხვევაში კი ადამიანი იქნებოდა მტაცებელ მხეცზე უარესი და ალბათ იფიქრებდა, რომ, მე თუ ვკვდები, იქნებ დროს რაღაც გამოვლოვო და წარესტაცო... მაგრამ, როდესაც ადამიანი გახდა უკვდავი, და ის არის მარადიული, ასეთ შემთხვევაში, ის უკვე—ამაღლებული, უშიშარი და იმედიანია... არის სიყვარულში და არის რწმენაში... აი, ეს მისცა მკვდრებით აღდგომილმა მაცხოვრებელმა ჩვენმა იესო ქრისტემ კაცობრიობას...
 აღდგომა რომ არ ყოფილიყო, ამბობს მოციქული პავლე, ცუდილა იქნებოდა სარწმუნეობა ჩვენი... და მართლაც, პირადად ჩემთვის ის რელიგია, რომელიც არ ქადაგებს უკვდავებას, არის მკვდარი... ქრისტიანობა კი პირიქით გვეუბნება, რომ ჩვენ უფალმა დაგვბადა უკვდავი... აი, ეს არის ქრისტიანობის არსი... და რაც მთავარია, ქრისტიანობა ეს არის ჰუმანიზმი: ეს არის სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისა—აი, ამაზე დაფუძნებული ყოველი კრედი და დოქტრინა უფლის დიდებისათვის... როგორც დღეს წაკითხულ სახარებაში სწერია:—პირველთაგან იყო სიტყვა და იგი იყო ღვთისა—თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი... აქ ლაპარაკი არის იესო ქრისტეზე, რომ ის, უწინარეს ყოვლისა, არის მიზეზი მიზეზთა და ყოვლის საწყისი... ის არის აქსიომა იმ დიდი ჭეშმარიტებისა, რომელიც არის ღვთისა—ღვთისა—სიტყვა განხორციელებული, რომ ეს სიტყვა—მე, იყო ღმერთთან—მამაზეციერთან, და ღმერთი იყო სიტყვა იგი. პირდაპირ ამბობს მოციქული იოანე, რომ ღმერთი არის ის სიტყვა და სწორედ ეს სიტყვა მზანდებდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

ქრისტე აღდგა!
 აღდგომა ეს არის ისეთი დღესასწაული, რომელიც ფარავს ყოველივეს ქვეყანაზე, აღდგომა ეს არის ის დიდი ნუგეში და ის დიდი იმედი, რომელიც გვატყობს ყოველთვის და ბოლოსდაბოლოს, ეს არის ჩვენი უკვდავება და მარადიულობა იმ დიდი წყალობისა, რომელიც მოიღო მამამ, ძემ, და სულიწმიდამ კაცობრიობისათვის... სახარებაში სწერია, რომ უფალი იესო ქრისტე ეს არის დიდი სიყვარული და დიდი იმედი კაცობრიობისათვის, ის დიდი მზე სიმართლისა და ის დიდი ჭეშმარიტება, რომელიც მოიაზრებოდა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, როგორც ლოგოსი, და დღეს კი მოიაზრება, როგორც ძე და, როგორც სიტყვა—ეს არის წმინდა სამების მთავარი სახე, სამების მთავარი იზოსტასი, ანუ მამა, ძე—თვით უფალი იესო ქრისტე და სულიწმინდა!
 დღევანდელ დღეს ვულოცავ მთელ ჩვენს ეპარქიას—იმერეთის ამ ძირძველ მიწას და აქედან ვულოცავ სრულიად საქართველოს. ღმერთმა ინებოს ჩვენი ერის აღდგომა, ამაღლება და გამთლიანება, ამინ! და ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაუთენოს ჩვენს ერს, მთელ ჩვენს ქვეყანას, და ყველა იმ ადამიანს, ვინც დღეს აქ მოვიდა და თავისი ლოცვა—თავისი მსურველი ლოცვა შესწირა უფალს ღვთის საიდუმლად და იმ დიდი სიხარულით აიგოს, იმ დიდი მაცხოვრებელი მადლით, რომელიც აღდგომის ძალაშია გამოვლენილი, როგორც ღვთის დიდი საჩუქარი, რომელიც არის მაცხოვრებელი კაცობრიობისათვის. მე მინდა ვაღმარებო მისი უწმინდესობის, ჩვენი ერის დიდი სულიერი მამის ლოცვა—კურთხევა და მისი ბავით უფალმა დაგლოცოთ თქვენ



ყოველნი და სრულიად საქართველო, ამინ!

ქრისტე აღდგა!
 ამ დღად სიხარულს დღეს ეზიარება ყოველი ადამიანი, დღეიდან არის ხსნილი ღვთის მადლით და სვალნიდელი დღიდან იწყება ბრწყინვალე შვიდდღისი დღეები, ანუ დიდი სადღესასწაულო დღეები და ადამიანმა უფლის დიდებას უნდა უძღვანოს ეს დღეები და მოემზადოს: ტრაპეზიც შესაფერი გააკეთოს და ყოველივე რაც საჭიროა... და არა ის, რომ ხენა—თესვა გამართოს, გაეიდეს და რაღაცის შენება დაიწყოს და ასე შემდეგ... არა, ეს დღეები არის მხოლოდ ღვთის დიდებისათვის, და უფალი ეს ის წყაროა ჩვენი ცხოვრებისათვის, ჩვენი ხსნისა და გადარჩენისათვის, რომ ყოველმა ადამიანმა მთელი სული და გული უნდა უძღვანოს ღვთის დიდებას, მაცხოვარი ჩვენში უნდა დაიბადოს და ჩვენში უნდა მოხდეს ჩვენი სულიერი ფერიცვალება, და ჩვენს სულში

და გულში უნდა მოხდეს მისი აღდგომა—ეს არის ჭეშმარიტი აღიარება იმ დიდი ჭეშმარიტებისა, რომელიც არის წმინდა სამება: მამა, ძე და სულიწმინდა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე მადლი თქვენდა და სიყვარული ღვთისა მიერ მამისა იყავნ თქვენ ზედა, ამინ!
 მე მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ყველას ეს ბრწყინვალე დღე, ღმერთმა გაგახაროთ, გაგაძლიეროთ, დიდი რწმენა მოგცეთ, დიდი სიყვარული, და დიდი სიკეთე შეგძლებოდეთ, რომ გააკეთოთ და მოიმოქმედოთ...
 ახლა პერიოდი, რომ ამ სიხარულით გაახაროთ თქვენი მოყვასი, ანუ ის ადამიანი, ვინც, დაუფუძოთ, თქვენს გვერდით არის და მას რაღაცით უჭირს, და მისთვის ამ დროს ნუგეში არის ყველაზე დიდი წყალობა და ყველაზე დიდი სიკეთე, რაც ყოველმა ადამიანმა უნდა მოიმოქმედოს დღეს თავისი მოყვასისათვის...
 მე მინდა, კიდევ ერთხელ გითხროთ, რომ დიდი მარხვა 50 დღე გრძელდება, და ვფიქრობ, რომ არავინ დარჩენილა წმინდა ზიარების გარეშე... ახლა კი არის აღდგომა, და აუცილებელია, რომ ტრაპეზი იყოს აღდგომისათვის შესაფერი... და კიდევ: წირვის დასასრულს, ყოველ თქვენთაგანს მინდა გადავცემა საქართველოს პარლამენტის შესატყვის მაცოროტარი დეპუტატის, პატრონ კახა გეგაძის საადგილო საჩუქარი: პასკა, კვერცხი და ტკბილეულობა... რომ ხელდაშენებული წახვიდეთ ტაძრიდან. მე მინდა ღვთის წყალობა მიიღებთ ეკლესიიდან, ყოველთვის, და გახსოვდეთ, რომ ქრისტეს ეკლესია ეს არის სიყვარულის, ერთობისა და, მე ვიტყვი, დიდი რწმენის, დიდი ნუგეშის და დიდი შეწმენების ეკლესია.
 ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, ამინ!
 ქრისტე აღდგა!
 ჭეშმარიტად აღდგა!

ჩაიწერა და დასაბჭად მოამზადა, მარგვეთისა და უბნის ეპარქიის მებატონე მალხაზ მაჭაპარიანმა.

ნაცნობ მსახიობის წარმადენი, ანუ ცოცხადენი რამ ერთი ფრანგულ-ქართული ქმნილების შესახებ


ამაჟინათ... ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ერთ-ერთ ნომერში (№7—III), რუბრიკით „ევროპის გზებზე“ დაიბეჭდა მასალაზე საფრანგეთის ქალაქ ლაზოლის თეატრალური კომპანიის „პრეტი ანდანტეს“ მიერ წარმოდგენილი, საფრანგეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორის, ფრანგი ქართველის—ალექსი ჯაყელის ფრანგულ-ქართული პროფესიული ქმნილების შესახებ, სახელწოდებით: „სადა ხარ?“ სპექტაკლი გამოყენებული იყო ფრანგულ ენაზე ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. მონაწილეობდნენ მსახიობები: გვანცა დადიანი, ლიკა კველიშვილი და ზაზა ცარულაშვილი. აქედან: გვანცა დადიანი და ლიკა კველიშვილი რეჟისორ ალექსი ჯაყელის ყოფილი მოწაფეები არიან... და, რადგანაც ამ ზამთარს ისინი თავისუფლები იყვნენ, ბატონმა ალექსიმ თავისთან მიიწვია, რათა ერთობლივი მუშაობით შექმნათ სპექტაკლი...
 იქვეა მოკლე დოსიე ზესტაფონელი მამულისათვის კარგად ცნობილ მსახიობ გვანცა დადიანიზე და მის თეატრალურ პარტნიორ—ლიკა კველიშვილზე. თუმცა მათ შესახებ აქ მხოლოდ ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო სკოლში ღვანცისა და რეჟისორის, მამუკა ცერცვაძის ნაამბობი მსურს შემოგთავაზოთ... აი, ისიც:
 „გვანცა დადიანიმ ჯერ კიდევ სტუდენტობისას დამამხსოვრა თავი თავისი საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებში შესრულებული როლებით, განსაკუთრებით სადიპლომო სპექტაკლით „ლარის წვეულება“, რომელშიც მთავარ როლს თამაშობდა... ყავდა შესანიშნავი პედაგოგი, ქალბატონი მედეა კუჭუხიძე, და მიუხედავად პატარა ასაკისა, მას ერთობ საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. უმუშავია ბევრ და საინტერესო რეჟისორთან. გორის თეატრის სპექტაკლში

„ბერნარდა ალბას სახლი“, რომელიც რამზ იოსელიანმა დადგა, საოცარი ისტატობით ითამაშა მარტივი როლი. და სპექტაკლის დამთავრებისთანავე შევთავაზე ზესტაფონის თეატრში თამაში... რამდენიმე თვის შემდეგ ეს მოლაპარაკება განვახსლებ და 2008 წელს ზესტაფონის თეატრის სცენაზე გვანცა დადიანიმ სპექტაკლ „ანაფრანკის დიურში“ ქალბატონ პეტრენელა ვანდანის როლი ითამაშა...
 იმავე წელს ითამაშა ლიზის როლი სპექტაკლ „წვიმის გამოდგელობა“, თოვლის დედოფალი ზღაპარ „თოვლის დედოფალი“, ხოლო 2009 წელს, ნიას როლი ითამაშა თაბუკაშვილის „მერე რა რომ სველია,

ზენათის როლი, სპექტაკლ „ბაკულას ღორები“.
 სულ ახლახან, გვანცა დადიანიმ თავისი ნიჭიერება ევროპულ მსურველებსაც დაუმტკიცა...
 რაც შეეხება ლიკა კველიშვილს, რომელიც ზესტაფონელმა მსურველებმა გაიცნო სპექტაკლით „მანელაძეების ოჯახი“, სადაც იგი პელოს როლს თამაშობდა, უდავოდ ნიჭიერი მსახიობია. საინტერესოა მასთან როლზე მუშაობის პროცესი... მოხარული ვიქნები თუ ჩვენი თეატრის ფინანსური მდგომარეობა მოგვეცემს იმის საშუალებას, რომ ლიკა ჩვენი თეატრის სხვა სპექტაკლებშიც დავაკავოთ... და მერწმუნეთ, დიდ

საჯაროდ მიველოცო ეს ფრანგული წარმატება ამ ორ გამორჩეულ მსახიობს და შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო კვლავაც...
 და ბოლოს: ვფიქრობთ, ისიც საინტერესო იქნება თუ კი აქ ფრანგი კრიტიკოსი—დომინიკ გრეგუარის რეკენზიის შემოკლებულ ვარიანტს შემოგთავაზებთ იმავე ჟურნალიდან, სათაურით: „სადა ხარ?“
 „...ეს არის ფრანგულ-ქართული ორიგინალური პროფესიული ქმნილება, რომელიც განხორციელდა სამი ქართველი მსახიობის ცხოვრებისა და ლაბორში, სადაც მათ მასპინძლობდნენ 2010 წლის იანვრიდან აპრილამდე, და სადაც მდებარეობს თეატრალური კომპანია „პრესტო ანდანტე“. კომპანიის დირექტორი, ფრანგულ-ქართული წარმოშობის ალექსი ჯაყელი საფრანგეთში დამკვიდრდა 2000 წლიდან, მანამდე დიდხანს იმუშავა პრესტიჟულ ქართულ თეატრებში. იგი ასწავლიდა დაახლოებით ათი წლის განმავლობაში თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტშიც, სადაც მისი მოწაფეები იყვნენ გვანცა დადიანი, ლიკა კველიშვილი და ზაზა ცარულაშვილი.
 ამ სამი მალალი დონის მსახიობის ჩამოსვლა საფრანგეთში გახდა პირველი ძველი საფრანგეთისა და საქართველოს შორის თეატრალური გაცვლისა, რომელიც განვითარდება მომავალ წლებში ალექსი ჯაყელის ინიციატივით. „სადა ხარ?“ ამ ფარგლებში დაიბადა 2010 წლის იანვარში. ეს ძალზე ორიგინალური სპექტაკლი აერთიანებს თეატრის, პანტომიმის, სიმღერისა და ცეკვის ხელოვნებებს. 2010 წლის მარტსა და აპრილში საფრანგეთში გამართული პირველი წარმოდგენების შემდეგ ამ სპექტაკლს ითამაშებენ საქართველოს მთავარ ქალაქებში 2011 წლისთვის ჩაფიქრებული გასტროლების დროს.

„სადა ხარ?“ ძალზე თავისუფალ შთაგონებას იღებს ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის ორი დრამატული ნაწარმოებიდან, რომელთა სახელწოდებებია „დედა“ და „პანო“. რამდენიმე წლის წინათ ვარდაცვლილი ეს მწერალი, ვის კალამსაც გკუთვნილი ოცნე მეტი პიესა და რომანი, ცნობილია, როგორც თავისი ქვეყნის უდიდესი დრამატურგთაგან.
 შეუძლებელია ისეთი სპექტაკლის მოკლედ გადმოვცემა, როგორცაა „სადა ხარ?“ თუმცა ის ამბავს გვიამბობს. და თან რა ამბავს... ამბავს ყველასი და თვითუფლისა, ამბავს, რომელიც უნივერსალურობას აღწევს, ვინაიდან ეხება თვითუფლი ადამიანის განსაკუთრებულობას. რისგანაა შექმნილი ადამიანის ცხოვრება, როდესაც იგი საკუთარი მხრით მოიხსენებს მას? ერთმანეთთან დაუკავშირებელ მომენტთა წყებისაგან, რომელიც აერთიანებს აწყობას და წარსულს, რეალურსა და გამოანგონს, ინტიმურსა და საზოგადოებს...
 „სადა ხარ?“ კითხვით თეატრალური ფორმა და ისეთად რჩება კვანძის გასწავლადე კითხვით, უარყოფით... მამ ამ ყველაფერში არაფერი მტკიცებითი არაა? დიას, არა. თუმცა კი, შესაძლებელია ეს იყოს პირველი სიყვარულის შორეული მოგონება, განხორციელების ბუნდოვანი შეგრძობება, გამოუთქმელი ნოსტალგია რაღაცის, რაც ლოგიკური იყო, მაგრამ რის?... და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, დაბეჯითებით ვთქვათ: „სადა ხარ?“ არაჩვეულებრივი სპექტაკლია!...
 ასე რომ, იმედია ზესტაფონელი მამულის თეატრის იხილავს ამ არაჩვეულებრივ სპექტაკლს...
 და სწორედ ამ მსურველის სახელით და მონატრებით მსურს მიველოცო სპექტაკლში მონაწილე ჩვენს ამ უკვე კარგად ნაცნობ მსახიობებს ეს დიდი წარმატება...
მოამზადა მალხაზ მაჭაპარიანმა



სველი ისამანი“, თალიკოს როლი ლაშა კლდიაშვილის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლ „მანელაძეების ოჯახი“ და სიამონებას მიანიჭებს ის ზესტაფონელ მსურველებს თავისი თამაშით... მისარია, რომ საშუალება მომეცა თქვენი გაზებით

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №11 ქ. ზესტაფონი 30 მარტი 2010 წელი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 თებერვლის №4 დადგენილებაში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 22 იანვრის №12 დადგენილების „ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 თებერვლის №4 დადგენილების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 22 იანვრის №12 დადგენილების „ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ) პრეამბულაში და ჩამო-

ყალიბდეს შემდეგი რედაქციით: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით შერაბია**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №12 ქ. ზესტაფონი 30 მარტი 2010 წელი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 თებერვლის №5 დადგენილებაში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირებისა და მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტის განსაზღვრის შესახებ) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 თებერვლის №5 დადგენილების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირებისა და მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტის განსაზღვრის შესახებ) პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 273-ე მუხლის მე-9 ნაწილისა და 274-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით შერაბია**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №13 ქ. ზესტაფონი 30 მარტი 2010 წელი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 თებერვლის №9 დადგენილებაში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების შესახებ) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 თებერვლის №9 დადგენილების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების შესახებ) პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის

შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 2. შევიდეს ცვლილება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 თებერვლის №9 დადგენილების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების შესახებ) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ბ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, 25 (ოცდახუთი) ლარი ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე“.

მუხლი 3. დადგენილება ძალაში შევიდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით შერაბია**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბრძანება №241 „1“ „აპრილი“ 2010 წელი

საარჩევნო პლაკატებისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,

მ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკერვა: საკულტო ნაგებობებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, საგზაო ნიშნებზე, სოფლის თემის და ქალაქის საკრებულოებში შეიძლება აკრძალონ საარჩევნო პლაკატების გაკერვა ცალკეულ შენობებზე მხოლოდ არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე.
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტში საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს შემდეგი ადგილები:
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელეები;
 - ქალაქის ტერიტორიაზე რკინიგზის ზოლის მიმდებარე ბეტონის კედელი
- ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

გამგებელი **ბიჭო არაბიძე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბრძანება №242 „1“ „აპრილი“ 2010 წელი

საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებისათვის შენობა ნაგებობების გამოყოფის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,

მ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზების უზრუნველსაყოფად გამოიყოფილ იქნას ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შემდეგი შენობა-ნაგებობა:
 - დადიანის ქ. №8 არსებული ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კულტურისა და შემოქმედებითი ცენტრის ადმინისტრაციის შენობის დარბაზი (100 ადგილი).
 - ლალიძის ქ. №22 არსებული ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზი (120 ადგილი).
- ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

გამგებელი **ბიჭო არაბიძე**

მთქალაქეთა საცურაოდებო!

სოფლად საგაზაფხულო ხენა-თესვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორია დაყოფილია 7 ზონად. თითოეულ ზონაზე მიმდგომი მამხანაგობა „მარგვეთი 2007“-ის ტრაქტორები(იხილეთ გრაფიკი).

1000 მ² ფართობის დახვნა-დაფარცხვის ღირებულებაა 25 ლარი(თანხაში შედის საწვავის ღირებულებაც)

თემი, სოფელი	მექანიზატორები
I ზონა	
ქვ.საზანო	ცხადაძე პიმენი
ზორეთი	ლიპარიშვილი თორნიკე
ქვ.საქარა	
II ზონა	
როდინაული	სხილაძე გოჩა
I სვირი	ურჩაძე ივანე
II სვირი	
III ზონა	
კვალთი	ანრაზაძე თენგიზი
ცხრაწყარო	გამრეკელაშვილი გია
კლდეეთი	
IV ზონა	
ბოსლევნი	მიქაბერიძე რომანი
დილიკაური	ყიფშიძე მალხაზი
ზედა საქარა	
V ზონა	
შროშა	ვარდოსანიძე ირაკლი
ძირულა	
VI ზონა	
ილეში	პირველაშვილი შალვა
ფუთი	
VII ზონა	
სანახშირე	შაველიძე თემური
შოროპანი	

დაინტერესებულმა პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისარებად ღირსეულად გამოეხატა ცხელ ხაზზე 5-26-26

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №10

ქ. ზესტაფონი 30 მარტი 2010 წელი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 21 დეკემბრის №43 დადგენილებაში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილებები მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 21 დეკემბრის №43 დადგენილების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) №1; 4; 5; 6; 7 მუხლებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვროს 5941,9 ათასი ლარით, მათ შორის:

1. გადასახადები 1420,0 ათასი ლარი;
2. სხვა შემოსავლები 905,0 ათასი ლარი;
3. შემოსავლები ტრანსფერებიდან 3616,9 ათასი ლარი.
მათ შორის:
 - ა) გათანაბრებითი ტრანსფერი 1782,7 ათასი ლარი;
 - ბ) მიზნობრივი ტრანსფერი 207,5 ათასი ლარი;
 - გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1626,7 ათასი ლარი;
 აქედან: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 876,7 ათასი ლარი.

მუხლი 4. განისაზღვროს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ხარჯები 6298,0 ათასი ლარით.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებაზე მყოფი სამსახურების პერსონალზე პრემიებისა და დანამატების გაცემა განხორციელდეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად „შრომის ანაზღაურების ხარჯებისათვის დამტკიცებული ასიგნების“ ფარგლებში.

მუხლი 6. 2010 წლის 1 იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 356,1 ათასი ლარი მიმართული იქნას კრედიტორული დავალიანების დასაფარავად და ახალი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 7. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის №1,2,3,4,5,6,7 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართები თან ერთვის)კვ.

მუხლი 2. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

მუხლი 3. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ფერაძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტი
(ათას ლარში)

შემოსავლების დასახელება	2010 წლის გეგმა		გადახრა	
	სულ	მათ შორის სახ. ბიუჯეტის ფონდები	სულ	მათ შორის სახ. ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	5941,9	1626,7	-1115,6	-258,9
შემოსავლები	5788,9	1626,7	-1217,3	-258,9
გადასახადები	1420,0	0,0	-277,1	0,0
საშემოსავლო გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0
ქონების გადასახადი	1420,0	0,0	-273,9	0,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	830,0	0,0	-11,7	0,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0	0,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	12,2	0,0	-1,9	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	21,0	0,0	3,0	0,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	556,8	0,0	-263,3	0,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0	-3,2	0,0
გრანტები	3616,9	1626,7	-697,6	-258,9
გამოთანაბრებითი ტრანსფერი	1782,7	0,0	476,6	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	207,5	0,0	-235,2	0,0
სპეციალური ტრანსფერი	1626,7	1626,7	-939,0	-258,9
მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად.	0,0	0,0	-680,0	0,0
მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0,0	0,0	-16,0	-16,0
მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები.	0,0	0,0	0,0	0,0
მ.შ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	750,0	750,0	-674,4	-674,4
მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	876,7	876,7	431,5	431,5
სხვა გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა შემოსავლები	752,0	0,0	-242,6	0,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	266,0	0,0	11,8	0,0
სხვა	486,0	0,0	-254,4	0,0
არაფინანსური აქტივების კლება	153,0	0,0	101,7	0,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	6298,0	1626,7	-624,2	-59,3
ხარჯები	4164,0	0,0	-891,8	-15,7
შრომის ანაზღაურება	819,3	0,0	-55,8	0,0
საქონელი და მომსახურება	1251,2	0,0	-776,4	-15,7
პროცენტი	20,7	0,0	-2,8	0,0
სუბსიდიები	1735,8	0,0	-47,2	0,0
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	337,0	0,0	-9,6	0,0
სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	2115,9	1626,7	265,1	-43,6
ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	18,1	0,0	2,5	0,0
ნაშთის ცვლილება	-356,1	0,0	-491,4	-199,7
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	1188,5	0,0	-37,2	0,0
ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	244,4	0,0	33,4	-78,1
შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება	35,6	0,0	-17,5	0,0
თავდაცვის ღონისძიებები	80,0	0,0	13,6	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2310,2	1626,7	-312,6	624,7
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	988,0	0,0	242,8	-31,1
საგანმანათლებლო ღონისძიებები	978,8	0,0	-588,3	574,8
სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა	472,5	0,0	41,6	0,0

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ფერაძე

დანართი №2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
(ათას ლარში)

დასახელება	2010 წელი	
	სულ	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	5,788,9	1,626,7
გადასახადები	1,420,0	0,0
გრანტები	3,616,9	1,626,7
სხვა შემოსავლები	752,0	0,0
ხარჯები	4,164,0	0,0
შრომის ანაზღაურება	819,3	0,0
საქონელი და მომსახურება	1,251,2	0,0
პროცენტი	20,7	0,0
სუბსიდიები	1,735,8	0,0
გრანტები	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	337,0	0,0
სხვა ხარჯები	0,0	0,0
საოპერაციო საღდო	1,624,9	1,626,7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,926,9	1,626,7
ზრდა	2,115,9	1,626,7
კლება	153,0	
მთლიანი საღდო	-338,8	0,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-356,1	0,0
ზრდა	0,0	
ვალუტა და დეპოზიტი		
სესხები		
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	
კლება	356,1	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	356,1	
სესხები	0,0	
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	
ვალდებულებების ცვლილება	-18,1	
ზრდა	0,0	
საგარეო	0,0	
საშინაო	0,0	
კლება	18,1	0,0
საგარეო		
საშინაო	18,1	
ბალანსი	0,0	0,0

3616,9

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ფერაძე

დანართი №3

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემოსულობები
(ათას ლარში)

დასახელება	შემოსულობების კოდები	2010 წელი	
		სულ	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები		5,941,9	1,626,7
შემოსავლები		5,788,9	1,626,7
არაფინანსური აქტივების კლება		153,0	0,0
ფინანსური აქტივების კლება		0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა		0,0	0,0
შემოსავლები		5,788,9	1,626,7
გადასახადები	11	1,420,0	0,0
საშემოსავლო გადასახადი	11111		
ქონების გადასახადი	11311	1,420,0	0,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131101	830,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131102		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131103	12,2	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		21,0	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		556,8	
სხვა გადასახადები ქონებაზე			
სხვა გადასახადები	116		
გრანტები	13	3,616,9	1,626,7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	131		
უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები	132		
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	133	3,616,9	1,626,7
გამოთანაბრებითი ტრანსფერი		1,782,7	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		207,5	
სპეციალური ტრანსფერი		1,626,7	1,626,7
მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად			
მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები			
მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები			
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები		750,0	750,0
მ.შ. სხვა სპეციალური ტრანსფერი		876,7	876,7
სხვა შემოსავლები	14	752,0	
შემოსავლები საკუთრებიდან	141	276,0	
პროცენტები			
დივიდენდები			
რენტა		276,0	
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით	14151	266,0	
სარგებლობისათვის			
მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე	14153		
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	10,0	
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	306,0	
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები		296,0	
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი			
სანებართვო მოსაკრებელი		24,0	
სახელმწიფო ზაქი		2,0	
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			
სატენდერო მოსაკრებელი		20,0	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		160,0	
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არილის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის		90,0	
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება		10,0	
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან		10,0	
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან			
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	170,0	
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145		
არაფინანსური აქტივების კლება	31	153,0	
ძირითადი აქტივები	311		
არაწარმოებული აქტივები	314	153,0	
მიწა			
სხვა ბუნებრივი აქტივები		153,0	
ფინანსური აქტივების კლება	32	0,0	
სესხები			
აქციები და სხვა კაპიტალი			
სხვა დებიტორული დავალიანებები			
ვალდებულებების ზრდა		0,0	
საშინაო			
საგარეო			

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ფერაძე

დანართი №4

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

ორგ. კოდი	დასახელება	2010 წელი	
		სულ	მ.შ. სახ. ბიუჯეტის ფონდები
	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	6298,0	1626,7
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	1188,5	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	158,0	0,0
	ხარჯები	4164,0	0,0
	შრომის ანაზღაურება	819,3	0,0
	საქონელი და მომსახურება	1251,2	0,0
	შტატგარეშე ანაზღაურება	61,1	0,0
	მივლინებები	15,1	0,0
	ოფისის ხარჯები	103,9	0,0
	წარმომადგენლობითი ხარჯები	30,5	0,0
	რბილი ინვენტარის, უნიფორ. და პირადი ჰიგ. საგ.	5,7	0,0
	შემდგენი ხარჯები	68,3	0,0
	ტრანსპორტის და ტექნ. ექსპლ. და მოვლა-შემდგენის ხარჯები	966,6	0,0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	20,7	0,0
